საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

მოგახსენებთ, რომ ფიზიკური პირი ეკატერინე მიქიაშვილი პ/ნ 01024049193, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩხორიას მიმდებარე ტერიტორიაზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე , რომელიც იჯარით აქვს აღებული, გეგმავს შავი მოცვის პლანტაციის გაშენებას.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება სსიპ სოფლის განვითარების სააგენტოს სახელმწიფო პროგრამა დანერგე მომავალის და შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტების ფარგლებში იგეგმება.

პლანტაციის გაშენება-მოწყობისათვის და შემდგომი ექპლოატაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, როგორც პლანტაციის განაშენიანებისას ასევე პლანტაციის ექპლოატაციისას, განსაკუთრებით, გვალვის პერიოდში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში იგეგმება მოეწყოს წვეთოვანი სარწყავი სისტემა და მორწყვისათვის საჭირო წყლის ამოღება მოხდეს ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ, მდინარე დიდი ჩხოუშიდან.

ვინაიდან ზემოთ აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის პირველი პუნქტის, 1.3-ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე სამინისტრო ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ . საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წარმოგიდგენთ საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლებს.

დანართი N1 – „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები;

პატივისცემით,

ეკატერინე მიქიაშვილი

ფიზიკური პირი

საკონტაქტო პირი- ტელ:577992959

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„17" 08 2022
№ 4111